

# დეკლარაცია პოლიციის შესახებ

მიღებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის  
690 (1979) რეზოლუციით

ნაწილი „ა“

პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობის ეთიკური ნორმები

1. პოლიციელი ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს იცავს რა საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეება და საზოგადოებას ძალადობრივი, მძარცველობითი ან სხვა საზიანო ქმედებებისაგან, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით.
2. პოლიციელი უნდა მოქმედებდეს პატიოსნების, მიუკერძოებლობის და ღირსების პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, მან თავი უნდა შეიკავოს კორუფციის ნებისმიერი ქმედებისაგან და ყველანაირად წინ აღუდგეს ასეთ ქმედებებს.
3. ნებისმიერ გარემოებაში იკრძალება სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სასჯელის დადება, წამება და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის სხვა ფორმები. პოლიციელს უფლება აქვს არ დაემორჩილოს ან არ შეასრულოს ბრძანება ან ინსტრუქცია, რომელიც გულისხმობს ასეთი ზომების მიღებას.
4. პოლიციელი ასრულებს ზემდგომი მეთაურების ბრძანებებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან იცის ან უნდა იცოდეს ბრძანების არაკანონიერების შესახებ.
5. პოლიციელი ვალდებულია წინ აღუდგეს სამართალდარღვევებს. დარღვევების შემთხვევაში, რომელმაც გამოიწვია უშუალოდ მიყენებული ზიანი ან აუნაზღაურებადი სერიოზული ზარალი, პოლიციელი იყენებს დაუყოვნებლივ ქმედებებს შესაძლებლობის ფარგლებში.
6. იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალოდაა მიყენებული ზიანი ან აუნაზღაურებადი სერიოზული ზარალი, პოლიციელი უნდა ეცადოს, აღკვეთოს ასეთი დამდგარი შედეგები, ან მათი განმეორება, და აცნობოს მომხდარის შესახებ თავის ზემდგომებს. თუ ეს შედეგს არ გამოიღებს, მას შეუძლია მიმართოს სხვა ზემდგომ ინსტანციებს.
7. არავითარი სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინარული ზომები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიციელის წინააღმდეგ, რომელმაც უარი განაცხადა უკანონო ბრძანების შესრულებაზე.
8. პოლიციელი არ მონაწილეობს ისეთი ქმედებების განხორციელებაში, როგორცაა თვალთვალი, დაპატიმრება, დაცვა ან ბადრაგირება იმ პირებისა, რომლებიც არ არიან ეჭვმიტანილნი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაში, მაგრამ იძებნებიან, კავდებიან ან იღვენებიან მათი რასის, რელიგიის ან პოლიტიკური მრწამსის გამო.
9. პოლიციელი პასუხისმგებელია პირადად მის მიერ ჩადენილ ქმედებაზე და ქმედების შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე მისთვის გაცემული ბრძანებისა, რომელიც არასამართლებრივია.
10. უნდა არსებობდეს გარკვევით განსაზღვრული ინსტანციების სისტემა, რომელიც აუცილებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზემდგომი თანამდებობის პირის

განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელიც პასუხისმგებელია პოლიციის ქმედებაზე ან მის მიერ ქმედების შეუსრულებლობაზე.

11. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს იურიდიული გარანტიების არსებობა და დაცვის სასამართლო სისტემები პოლიციის მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალის წინააღმდეგ.
12. თავისი მოვალეობების შესრულებისას და მიზნის მისაღწევად პოლიციელი იყენებს კანონით დადგენილ და დაშვებულ ყველა აუცილებელ საშუალებას, ამასთან ძალის გამოყენება იზღუდება აუცილებელ მინიმუმამდე.
13. პოლიციელები იღებენ გასაკებ და ზუსტ მითითებებს იარაღის გამოყენების საშუალებებსა და მისი გამოყენების დასაშვებ გარემოებებთან მიმართებაში.
14. პოლიციელი უზრუნველყოფს მის მიერ დაკავებული ნებისმიერი პირისათვის სამედიცინო დახმარების გაწევას სამედიცინო პერსონალის მიერ, და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიმართავს ზომებს ასეთი პირების ჯანმრთელობის დასაცავად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ის ასრულებს ექიმებისა და სხვა კომპეტენტური მედიცინის მუშაკების ინსტრუქციებს, რომელთა სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშადაც იმყოფება დაკავებული პირი.
15. პოლიციელი საიდუმლოდ ინახავს მიღებულ კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას, თუ მოვალეობის შესრულება ან მართლმსაჯულების მოთხოვნები სხვაგვარად ქმედებას არ მოითხოვენ.
16. პოლიციელი, რომელიც იცავს წინამდებარე დეკლარაციის დებულებებს, იმსახურებს აქტიურ მორალურ და ფიზიკურ მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან, რომელსაც იგი ემსახურება.

ნაწილი „ბ“

### პოლიციის სტატუსი

1. პოლიციური ორგანოები – სახელმწიფო ორგანოებია, შექმნილნი კანონის შესაბამისად. ისინი პასუხისმგებელნი არიან კანონის დაცვაზე.
2. ნებისმიერ მოქალაქეს, თუ ის შეესაბამება სათანადო მოთხოვნებს, შეუძლია პოლიციის თანამშრომელი გახდეს.
3. პოლიციელი გადის დაწვრილებით საერთო მომზადებას, პროფესიონალურ მომზადებასა და სამუშაო ადგილზე მომზადებას, აგრეთვე იღებს აუცილებელ ინსტრუქციებს სოციალურ პრობლემებზე, დემოკრატიულ თავისუფლებებზე, ადამიანის უფლებებზე და განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე.
4. პროფესიონალური, ფსიქოლოგიური და მორალური პირობები, რომლებშიც პოლიციელმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს, ისეთია, რომ ისინი იცავენ მის ღირსებასა და მიუკერძოებლობას.
5. პოლიციელს აქვს სამართლიანი ჩივილის უფლება განსაკუთრებული ფაქტორების, მაგალითად, დიდი რისკის, პასუხისმგებლობისა და მუშაობის ნაკლებად რეგულარული საათების გათვალისწინებით.
6. პოლიციელს შესაძლებლობა აქვს შექმნას პროფესიონალური ორგანიზაციები, შევიდეს და აქტიურად ჩაერთოს მათ მუშაობაში. მას აქტიური მონაწილეობა შეუძლია მიიღოს სხვა ორგანიზაციების მუშაობაშიც.

7. პოლიციის პროფესიონალურ ორგანიზაციას, თუ ის წარმომადგენლობითია, უფლება აქვს:
  - მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში პოლიციის პროფესიონალური სტატუსის შესახებ;
  - კონსულტაციები გასცეს პოლიციური სტრუქტურების მართვის შესახებ;
  - აწარმოოს იურიდიული საქმეები პოლიციელების ჯგუფის ან ერთი პოლიციელის სახელით.
8. პროფესიული პოლიციური ორგანიზაციის წევრობა და მასში აქტიურ მონაწილეობას პოლიციელისათვის ზიანი არ მოაქვს.
9. მის წინააღმდეგ დისციპლინარული ან სისხლის სამართლის გამოძიების შემთხვევაში პოლიციელს უფლება აქვს გაესაუბროს ადვოკატს და ისარგებლოს მისი დაცვით. გადაწყვეტილება მიიღება დროის გონივრულ მონაკვეთში. მას აგრეთვე აქვს იმ პროფესიონალური ორგანიზაციისაგან დაცვის უფლება, რომელშიც ის შედის.
10. პოლიციელს, რომლის წინააღმდეგაც მიღებულია დისციპლინარული ზომები ან სისხლის სამართლის სანქციები, აქვს აპელაციის უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში ან სასამართლოში.
11. ნებისმიერი სასამართლოს ან ტრიბუნალის წინ პოლიციელს ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც სხვა მოქალაქეებს.

#### ნაწილი „ბ“

#### ომი და საგანგებო მდგომარეობა (ეს თავი არ ეხება სამხედრო პოლიციას)

1. ომისა და მტრის მიერ ქვეყნის ოკუპაციის შემთხვევაში პოლიციელები აგრძელებენ მოქალაქეთა და საკუთრების დაცვის ამოცანების შესრულებას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ამის გამო მათ არა აქვთ „სამხედრო მოქმედებებში მონაწილის“ სტატუსი და მათ არ ეხებათ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მესამე კონვენციის დებულებები, რომლებიც სამხედრო ტყვეებთან ქცევას ეხებიან.
2. სამოქალაქო პოლიციას ეხება 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მეოთხე კონვენციის დებულებები, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას ეხებიან ომის დროს.
3. საოკუპაციო ხელისუფლება პოლიციელებს არ უბრძანებენ ამოცანების შესრულებას, რომლებიც სცილდება მოცემული თავის პირველ მუხელში მოცემულ ამოცანებს.
4. ოკუპაციის პერიოდში პოლიციელი:
  - არ მონაწილეობს ოპერაციებში წინააღმდეგობის ძალების წინააღმდეგ;
  - არ მონაწილეობს ზომებში, მიღებულში მოსახლეობის გამოყენების მიზნით სამხედრო მიზნებისათვის და სამხედრო ობიექტების დაცვაში.
5. თუ პოლიციელი ოკუპაციის დროს იმის გამო ტოვებს სამსახურს, რომ მას აიძულებენ საოკუპაციო ხელისუფლების უკანონო მოთხოვნების შესრულებას, რომლების ეწინააღმდეგებიან სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებს, რომლებიც ზემოთ იყო მოხსენიებული და ამის გამო ის მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს ვერ პოულობს, შეუძლია ოკუპაციის დასრულებისთანავე

დაუბრუნდეს სამსახურს იმ უფლებებისა და უპირატესობების შენარჩუნებით, რომელსაც პოლიციაში დარჩენის შემთხვევაში ექნებოდა.

6. ოკუპაციისა და მის შემდგომ პერიოდში პოლიციელის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის ან დისციპლინარული სანქციები იმ ხელისუფლების ბრძანების პატიოსნად შესრულებისათვის, რომელიც კომპეტენტურად ითვლებოდა, თუ ამ ბრძანების შესრულება შედის მის ჩვეულებრივ მოვალეობებში.
7. საოკუპაციო ხელისუფლება არ იყენებს დისციპლინარულ ან იურიდიულ ზომებს პოლიციის წინააღმდეგ კომპეტენტური ხელისუფლების ბრძანებების შესრულებისათვის, გაცემულებზე ოკუპაციამდე.

შენიშვნა: წარმოდგენილი დეკლარაციის ა და ბ ნაწილები ეხება ყველა ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას, მათ შორის ისეთ ორგანოებს, როგორცაა პოლიციური უფლებამოსილების განმახორციელებელი საიდუმლო სამსახურები, სამხედრო პოლიცია, შეიარაღებული ძალები ან მილიცია, რომელთა მოვალეობაში შედის კანონის აღსრულების უზრუნველყოფა, დანაშაულის გამოძიება, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა.